



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

1. ცისანა კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. ნინო შუბლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. ნინო სალარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218049065

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვახვრელი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ქვახვრელი
საფოსტო ინდექსი	1423
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kvakhvrel@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577922513

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 2 24 0000574933 24.05.2024 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24-25 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა შენობა_ ნაგებობების რაოდენობა_ 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა შენობა_ ნაგებობების რაოდენობა_ 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა შენობა_ ნაგებობების რაოდენობა_ 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 24 მაისის ბრძანება MES 2 24 0000574933-ის საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლაში. სასკოლო სივრცეში შეფასების პროცესი ეფექტიანად, პოზიტიურ, აქტიურ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული სკოლის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტაცია- სამართლებრივი აქტები, კურიკულუმები და სხვა. განხორციელდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და სკოლის მასწავლებლებთან კათედრების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი თიმისის პლატფორმაზე შეხვდა სახელმწიფო ენის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებს, შეხვედრამ ინტერაქტიურ რეჟიმში ჩაიარა, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს, მათ გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც ვადების დაცვით გადაეგზავნათ. საგნობრივი ექსპერტები ჩართულები იყვნენ დასკვნის მომზადების პროცესში, დაწყებითი კლასების საგნობრივმა ექსპერტმა დროულად მიაწოდა ინფორმაცია, შესაბამისი საგნების ექსპერტებს, მეორე სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში არის უსაფრთხო, კეთილგანწყობილი გარემო, მშობლები ჩართულნი არიან სკოლის ცხოვრებაში, პედაგოგთა კვალიფიკაცია მას მიმზიდველსა და კონკურენტუნარიანს ხდის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---500-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

--ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა;-----

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილი შესაბამისობა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-მეტწილი შესაბამისობა.-----



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი -საბაზო	ხარვეზი



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი -საშუალო	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება 02.09.2024 - დან 16.09.2024-მდე

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი N3.3.1.4</i>	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს (01.10.2024 წ –დან 01.11.2024 წ.-მდე) ახალი შინაგანაწესის შემუშავება, შეთანხმება და დამტკიცება, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნასთან
<i>ინდიკატორი N3.4.1.1</i>	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში უზრუნველყოს: ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება -10.07.2024-10.07.2025წწ. ბ) სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების გეგმის შეთანხმება - 02.09.2024-02.09.2025 წწ. გ) ავარიული დამხმარე ნაგებობის დემონტაჟი - 08.07.2024-08.07.2025 წწ. დ) ეზოს შემოღობვა- 09.03.2024-09.03.2026 წწ.



	უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	(სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში უზრუნველყოს 01.08.2024 წ.-დან – 02.09.2024 წ.-მდე), ექიმის კაბინეტის მედიკამენტებით აღჭურვა
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების გათვალისწინებით, 5.02.2024წ.-დან -5.02.2026წ.-მდე მოაწესრიგოს სკოლის ინფრასტრუქტურა, სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, უზრუნველყოს სკოლაში არსებული ყველა სივრცის ადაპტირება ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის - მოაწყოს ლიფტი/შიდა პანდუსი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.3.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში - 01.08.2024წ.-დან – 01.08.2025 წ.-მდე) უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების სრულფასოვანი სწავლებისათვის საჭირო რესურსების შეძენა და სათანადო გარემოს შექმნა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	სკოლის აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები და სასურველია განახორციელოს მისიის შინაარსში მოცემული მიზნების მისაღწევი აქტივობები.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი N3.1.2.2</i>	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სასურველია შეიქმნას პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის ცალკე დოკუმენტი.
<i>ინდიკატორი N3.1.2.5</i>	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;	სასურველია სკოლის პერსონალის საერთო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ამაღლება, რათა მაქსიმალურად იყვნენ ორიენტირებულნი დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებაზე.
<i>ინდიკატორი N3.3.1.2</i>	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სასურველია სკოლამ წიგნადი ფონდი სრულად დაამუშავოს საბიბლიოთეკო წესით.
<i>ინდიკატორი N3.4.1.8</i>	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული	სასურველია სკოლამ შექმნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების დოკუმენტი და პერიოდული შეფასება გამოიყენოს მექანიზმების გაუმჯობესებისათვის, ამასთანავე შექმნას ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია.



	მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშაოს მოსწავლისა და სკოლის თანამშრომლების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, არსებული პრაქტიკა გამოიყენოს ამ დოკუმენტის შექმნისას.

სტანდარტი N2	დაწყებითი	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1 შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკა მათემატიკა საზოგადოებრივი	სასურველია საფეხურის ყველა სავალდებულო სამიზნე ცნებები სრულად იფარებოდეს ყველა თემატურ ბლოკში. მე-3, მე-5, მე-6 კლასების კურიკულუმებში ქვეცნებებთან ერთად გათვალისწინებული/ჩამატებული იქნას სამიზნე ცნებები. მე-3 კლასის კურიკულუმში დაემატოს კომპონენტი: „ სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებზე მუშაობისთვის” კურიკულუმში ჩამოთვლილი ყველა სხვა საკითხების შემთხვევაშიც, სასურველია, მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა



		სწავლების პროცესი მიემართება და სასურველია, საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება.
ინდიკატორი N 2.1.2.1 შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ინდიკატორი N 2.1.2.2 კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდა ფიზიკური აღზრდა	სასურველია, შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტი. ფიზიკური აღზრდის მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში ასახულ თემაში „მომრავი თამაშები“ (მხიარული თამაშები) სასურველია გაწერილი იყოს, არა ყველა სავარაუდო თემების აქტივობები, არამედ მხოლოდ იმ ერთი სპორტის სახეობის ელემენტები, რომლის რესურსიც (ინვენტარი) გააჩნია სკოლას.



<i>ინდიკატორი</i> <i>N 2.1.2.5</i> მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა საზოგადოებრივი ფიზიკური აღზრდა	კურიკულუმებს თან ახლავს იმ კომპლექსური დავალების თემატური მატრიცები, რომელიც განხორციელდა სასწავლო წლის პროცესში, კომპლექსური დავალება თავის ეტაპებით და ნაბიჯებით კითხვებით ავტომატურად მოიცავს განმავითარებელ შეფასებას, სასურველია მომავალი სასწავლო წლისთვის ცალკე შეიქმნას შეფასების რუბრიკები, როგორც გამსაზღვრელი ასევე განმავითარებელ შეფასებისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. ფიზიკური აღზრდის შეფასების რუბრიკები უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება
--	---	---

<i>სტანდარტი N2</i>	<i>საბაზო</i>	<i>რჩევა</i>
<i>ინდიკატორი</i> <i>N2.1.2.1</i>	საზოგადოებრივი	კურიკულუმში ჩამოთვლილი ყველა სხვა საკითხების შემთხვევაშიც მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც



შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა	სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება მე-7 კლასის მათემატიკის კურიკულუმში ქვეცნებებთან ერთად ჩაემატოს სამიზნე ცნებები.
ინდიკატორი N 2.1.2.1 შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდა	სასურველია, შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი N 2.1.2.2 კურიკულუმი მიემართება		

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;		
ინდიკატორი N 2.1.2.2 კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ფიზიკური აღზრდა	ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სასურველია შემცირდეს თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგს, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საათობრივ ბადიდან გამომდინარე სრულად განახორციელოს კურიკულუმში გაწერილი იმ თემების შესწავლა, რომელშიც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.
ინდიკატორი N 2.1.2.4 სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	მათემატიკა	გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, რაც იკვეთება დავალებების სირთულეების მიხედვით წარმოდგენაში, მაგრამ გაიცა რჩევა ინდ. გეგმის მოდიფიცირებასა და სხვადასხვა დასწავლის უნარის მქონე მოსწავლეებისათვის დიფერენცირებული გეგმის შექმნასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N 2.1.2.5	ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებს თან ახლავს იმ კომპლექსური დავალების თემატური მატრიცები , რომელიც განხორციელდა სასწავლო წლის პროცესში, კომპლექსური დავალება თავის ეტაპებით და ნაბიჯების კითხვებით ავტომატურად მოიცავს განმავითარებელ შეფასებას, სასურველია



მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი ფიზიკური აღზრდა	მომავალი სასწავლო წლისთვის ცალკე შეიქმნას შეფასების რუბრიკები, როგორც გამსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის. სასურველია გაითვალისწინოთ, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნებების მქვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებით მიმართებით თემის ფარგლებში. ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება.
<i>ინდიკატორი N 2.2.1.3</i> შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ფიზიკური აღზრდა	ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების რუბრიკებში სასურველია, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები განსაზღვრული იყოს საკითხების შესაბამისი აქტივობების მიმართებით.



სტანდარტი N2	საშუალო	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩამოთვლილი ყველა სხვა საკითხების შემთხვევაშიც, სასურველია სკოლამ მიუთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სასურველია სკოლას ჰქონდეს წარმოდგენილი პროექტული სწავლების დოკუმენტაცია მუსიკაში, რჩევა ეძლევა სკოლას, მომავალი სასწავლო წლისთვის სრულად ჰქონდეს საშუალო საფეხურის დოკუმენტაციები წარმოდგენილი.
ინდიკატორი N 2.1.2.1 შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ინდიკატორი	ესთეტიკური აღზრდა	სასურველია შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტი.

<i>N 2.1.2.2</i> კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;		
<i>ინდიკატორი N 2.1.2.2</i> კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ფიზიკური აღზრდა	ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასურველია შემცირდეს თემები (აუცილებლად მე-11-კლასში), რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგს, საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საათობრივ ბადიდან გამომდინარე სრულად განახორციელოს კურიკულუმში გაწერილი იმ თემების შესწავლა, რომელშიც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.
<i>ინდიკატორი N 2.1.2.5</i> მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ	ესთეტიკური აღზრდა საზოგადოებრივი	კურიკულუმებს თან ახლავს პროექტული სწავლების, შერჩეული პროექტის ეტაპები, საკვანძო და ნაბიჯების კითხვები, მიზნები, რაც ავტომატურად მიმართულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისკენ, სასურველია მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას ჰქონდეს ორივე საგნისთვის (მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკები. სასურველია გაითვალისწინოთ, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებით მიმართებით თემის ფარგლებში.



პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა	ფიზიკური აღზრდის შეფასების რუბრიკები მოარგოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, მასში გამოტანილ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. იმისათვის რომ შეფასების პროცესი იყოს უფრო მეტად სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება.
ინდიკატორი <i>N 2.2.1.3</i> შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ფიზიკური აღზრდა	ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების რუბრიკებში სასურველია, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები განსაზღვრული იყოს საკითხების შესაბამისი მიმართებით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და -
1-ლი სტანდარტის 1.2.1.4. ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი;
მე-3 სტანდარტის 3.3.1.4. ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი;
მე-3 სტანდარტის 3.4.1.1. ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი;
მე-3 სტანდარტის 3.4.1.2. ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი;
მე-3 სტანდარტის 3.5.1.4. ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი;
მე-2 სტანდარტის 2.1.2.3. ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სკოლამ შეიმუშავა, შეათანხმა და დაამტკიცა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სკოლას განთავსებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულების ნაწილი, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. დოკუმენტი მოგვიანებით, 5 თებერვალს შეათანხმა სასკოლო საზოგადოებასთან და თემთან. ეს სამი დოკუმენტი მკაფიოდ გამომდინარეობს ერთმანეთისგან და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია:

1. საერთო პროექტების განხორციელების მიზნით, თანამეგობრობის ჩამოყალიბება, როგორც რეგიონულ, ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
 2. რეგიონალური და ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით, სამეწარმეო და ტურისტული ჰაბის შექმნა;
 3. აკადემიური ცენტრის ჩამოყალიბება ეროვნული მასშტაბით და კონფერენციების განხორციელება.
- ხედვა:

2030 წლამდე ქვახვრელის საჯარო სკოლა გახდეს წამყვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, შეძლოს საკუთარი წარმატებული პრაქტიკის ეროვნულ დონეზე გაზიარება და თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბება.

ღირებულებები:

1. თავისუფალი აზრის დაფიქსირება და პატივისცემა;
2. კონსენსუსის გზით სასკოლო საზოგადოების გადაწყვეტილების პატივისცემა;
3. ნდობა, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა;
4. განსხვავებულის (აზრი, კულტურა, რელიგია და სხვა) მიმღებლობა;
5. სკოლის შინაგანაწესის მორგება სკოლის საჭიროებებზე;
6. მასწავლებლების მუდმივი პროფესიული განვითარება.

სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულია სკოლის, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, კეთილგანწყობილი გარემოს როლი, რაც ხელს უწყობს ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო რესურსებსა და აქტივობებში ჩართულობაზე: სასკოლო და სოციალურ პროექტებში, ექსკურსიებსა და ლაშქრობებში, საგნობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებისთვის, უსაფრთხო კეთილგანწყობილი სივრცის შექმნას და განათლების ხელმისაწვდომობას. სწორედ სასკოლო საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა სკოლის მისია და ხედვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დოკუმენტაციის მიხედვით თუ ვიზუალურად, მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებამდე შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რასაც ადასტურებს მშობელთა და მხარდამჭერი ჯგუფის სხდომების ოქმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს წარმოდგენილი ოქმი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების შესახებ, სადაც მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ დოკუმენტს გაეცნენ და აზრის გამოთქმის ნაწილში დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას მიწერილი აქვს წერილი სსიპ მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო სისტემისათვის და განსაზღვრული აქვს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა. მისიის, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტი განთავსებულია ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობლებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შეხვედრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ხედვიდან. სამოქმედო გეგმის საქმიანობა/აქტივობები ემსახურება სკოლის მისიის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს 2023 – 2030 სასწავლო წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, სადაც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები. სკოლის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, გაწერილია გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, რომელიც ემსახურება მიზნების მიღწევას. სტრატეგიული გეგმის შედგენისას სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების აზრი, ინტერესები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ინფორმატიული და ვრცელი დოკუმენტია, რთულია განსაზღვრა, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ამოცანებს, ამოცანების შესაბამის აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და შესრულების ვადებს, თუმცა, სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული გაზომვადი ინდიკატორები. გეგმა დაწესებულებისთვის განსაზღვრავს როგორც კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, ისე, სკოლის განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს.

(სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 02.09. 2024- 16.09. 2024 წ.) რის მიხედვითაც დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება გაზომვადი ინდიკატორები ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვაში მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მეთოდოლოგიის თანახმად, მომზადებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე ჯგუფი უზრუნველყოფს მიზნებისა და ამოცანების გაზომვადი ინდიკატორების მომზადებას, განხილვის შემდეგ ჯგუფის კოორდინატორი მოამზადებს მონიტორინგის გეგმის დოკუმენტის სამუშაო ვერსიას, რომელიც მოიცავს ინდიკატორების სამიზნეებს, საწყის მონაცემებს და მონაცემთა მოკრების/ანალიზის პასუხისმგებელ პირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება მოხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პერიოდში. ანგარიშს მოამზადებს შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც განიხილავს პედაგოგიური საბჭო. დასკვნებს გაითვალისწინებენ მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულებას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიშები საჯაროობის მიზნით წარედგინოს სასკოლო საზოგადოებას და განთავსდეს <https://skolebi.emis.ge/>-ზე და სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. როგორც აღვნიშნეთ, სკოლის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება მოხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პერიოდში. ანგარიშს მოამზადებს შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც განიხილავს პედაგოგიური საბჭო. დასკვნებს გაითვალისწინებენ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- დირექტორის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ (10 დეკემბერი)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც არსებული სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია განსაზღვრული. სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები. სკოლის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები მოცემულია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლას გააჩნია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა - დაწესებულებაში გათვალისწინებული ერთეულების სქემა, რომელიც გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია ვებ გვერდზე. სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები. სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სამუშაო აღწერილობები შეესაბამება სამოქმედო გეგმაში გაწერილ პასუხისმგებლობებს. დასაქმებულები აცნობებიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- E School- ის ბაზაში ატვირთული დამტკიცებული/შეთანხმებული საშტატო განრიგი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა
- სკოლის სტრუქტურა
- შრომითო ხელშეკრულებები
- მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. მათი სამუშაო აღწერილობები, უფლებები და მოვალეობები დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების ნიმუშებით. ხელშეკრულებები შედგენილია ყველა მოქმედ ნორმატიულ აქტთან შესაბამისად (შრომის კანონმდებლობა, კანონი ზოგადი განათლების შესახებ და სხვა) სკოლა ხელმძღვანელობს სპეციალურად შემუშავებული დოკუმენტებით, როგორებიცაა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ადამიანური რესურსის მართვისას სკოლის მთავარი მიზანს პედაგოგთა საქმიანობის ისეთი დაგეგმვა და წარმართვა წარმოადგენს, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნების მიღწევას. დაწესებულებაში კანონმდებლობის საფუძველზე ხდება რესურსების მართვა ყველა მიმართულებით: პედაგოგთა/თანამშრომელთა კონკურსის გზით მიღება, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, საათების განაწილება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, სახელფასო სისტემის დახვეწა და ა.შ. შესაბამისად, სკოლა ადამიანურ რესურსებს მართავს ქვეყნის კანონმდებლობისა და შიდასაკოლო ნორმატიული აქტების (სკოლის შინაგანაწესი, დირექტორის ბრძანებები, სკოლის წესდება, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები, და სხვ.) შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ცალკე დოკუმენტად არ იმეზნება. პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების ტექსტში. სასურველია შეიქმნას პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის ცალკე დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკის და პროცედურების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა. არსებული ფეისბუქგვერდი ინფორმაციის დროულად მისაწოდებლად ნაკლებად არის გამოყენებული. ამ ეტაპზე ვებ გვერდის მთავარ გვერდზე გადმოტანილია ინფორმაცია მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ და ატვირთულია მისიის, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სკოლა რომ პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი და ადგილზე ნანახი დოკუმენტებით. ადმინისტრაცია პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, საკონკურსო პირობებს კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.pedagogi.ge/www.teacher.jobs.ge-ზე, დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. შიდა და ღია კონკურსების ატარებს ეტაპებად: ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; ბ) გასაუბრება; სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე. სკოლაში დაცულია სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები, სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში არის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, სქესობრივი თავისუფლებისა

და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ. ცნობა ნასამართლეობის შესახებ აქვს ყველა თანამშრომელს. სქესობრივი ძალადობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები წარმოდგენილი აქვს სამ თანამშრომელს - ორ მასწავლებელს და ერთ დამლაგებელს, რადგან 2020 წლის შემდეგ სკოლაში მხოლოდ ეს სამი თანამშრომელი დასაქმდა.

საკონკურსო კომისიის ოქმებში დეტალურადაა ასახული გამოცხადებული კონკურსის ყველა ეტაპის მიმდინარეობა, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით აპლიკანტთა შეფასება და გადაწყვეტილების მიღება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელისშეკრულებები აქვს გაფორმებული საკუთარ პერსონალთან. სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი. მათ შორის 7 წამყვანი და დანარჩენი უფროსი მასწავლებელია. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, 1 სპეც. პედაგოგი, 2 დამლაგებელი და 2 დარაჯი. სკოლას კანონმდებლობის სრული დაცვით გამოცხადებული ჰქონდა ექიმის ვაკანსია, შეირჩა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი და მასთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია: პედაგოგებთან - პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობა, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი არ აქვს პედაგოგთა დიდ ნაწილს, პედაგოგებთან და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები აღრიცხულია და ინახება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, რისი დასტურიც არის სკოლაში წარმართული კათედრის სხდომები, ურთიერთდასწრებები, განხორციელებული პროექტები, არაფორმალური ღონისძიებები და ა.შ. სასურველია, ამდღედ სკოლის პერსონალის საერთო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რათა მაქსიმალურად შეძლონ დასახული მიზნების წარმატებით განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.



დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. სკოლას აქვს სოციალურ ქსელი „Facebook“-ზე გვერდი „ქვახვერელის საჯარო სკოლა“. აქ შუქდება ინფორმაცია სკოლის წარმატებული პროექტების, ღონისძიებების, მოსწავლეთა წარმატებების, პედაგოგების მიღწევების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინფორმაციო დაფა
- ხელშეკრულებები
- პირადი საქმეები
- საკონკურსო კომისიის ოქმები
- საათების გადანაწილება
- პედსაბჭოს ოქმები
- შინაგანაწესი
- ბრძანება სკოლის თანამშრომელთა ფუნქციათა გადანაწილების შესახებ;
- საშტატო განრიგი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, თუმცა სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას და განვითარების მუდმივ კონტროლს; პედაგოგთა საჭიროებების დადგენას და პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვას.

მიმდინარე ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც პროფესიული აქტივობების მონიტორინგის შედეგად გასცემს განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლაში გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირი, შესაძლებელია განვიხილოთ როგორც საჭიროებების დადგენის მექანიზმი, შესამუშავებელია მასწავლებლების გარდა სხვა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება). ტრენინგ - სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა. როგორც აღვნიშნეთ, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც პროფესიული აქტივობების მონიტორინგის შედეგად გასცემს განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს პროცესში, დირექტორმა განაცხადა, რომ უზრუნველყოფილია სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება. სკოლა უზრუნველყოფს

პედაგოგებს ინფორმაციით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი ტრენინგების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია მასწავლებელთა ტრანზიციის ხელშეწყობი მექანიზმები. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნა, რომ ხდება ახალი თანამშრომლის წარდგენა სკოლაში, აცნობებენ სკოლის შინაგანაწესს, სამუშაო გარემოს, დაგეგმილი პროექტების თაობაზე ინფორმაციას, სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს ახალი თანამშრომლისთვის მხარდაჭერის მზაობა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან საგნობრივი კათედრები, რომლებიც ხელს უწყობენ მცირეკონტიგენტიან სკოლაში თანამშრომლების ინტეგრაციას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ დგება ახალი თანამშრომლის აყვანის საჭიროება. სკოლამ კონკურსის წესით თანამშრომლის შერჩევის უახლესი დოკუმენტები წარმოადგინა, როდესაც კონკურსის წესით შეარჩიეს ინგლისური ენისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ბოლო წლების განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს ტრენინგები გაიარა სკოლის ბუღალტერმა, სკოლა ხელს უწყობს პედაგოგთა საქმიანობას არაფორმალური განათლების მიმართულებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, საბაზო -საშუალო საფეხურზე ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი. ამ კლუბს საქმიანობაში ეხმარება USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა, რომელიც წარადგინა საზოგადოება „ბილიკმა“. ამას გარდა, სკოლა ჩართულია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ტურისტულ სამსახურთან, რომელიც ახორციელებს ტურისტულ პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- კლუბის პროექტების/ინიციატივების ამსახველი დოკუმენტაცია
- გაკვეთილზე დასწრების რეგისტრაციები და უკუკავშირი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, ამ დოკუმენტის შემუშავებამდეც მას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის ეპიზოდური პრაქტიკა, რაც ჩანს საგნობრივი

მიმართულებების კათედრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში. სასწავლო წლის ბოლოს ჯამდება წლის დასაწყისში დაგეგმილი აქტივობების შედეგები, სკოლას დამტკიცებული აქვს 2023/24 სასწ.წლის სასკოლო სასკოლო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად დამტკიცდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, კურიკულუმების ჩარჩოები, კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის დოკუმენტებში (საჯარო სკოლის წესდება) გაწერილია თითოეული ამ ერთეულის ფუნქციები, იდენტიფიცირებულია მათი საქმიანობის ისეთი მიმართულებები, რომელიც მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო საქმიანობის სწორი მიმართულების წარმართვისათვის. მაგალითისათვის გამოდგება სამეურვეო და პედ.საბჭოების მიერ განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, რითაც ხორციელდება მმართველობითი პროცესები (სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება-შეთანხმება-დამტკიცების მიმართულება, ბიუჯეტის დამტკიცება, გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა, ისგ-ის შექმნა და მონიტორინგის განხორციელება, სასკოლო მატერიალური ბაზის განახლება, სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა და ა.შ). მოქმედ, შინაგანაწესში ასევე გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები (დისციპლინური გადაცდომების მართვის და პრევენციის მექანიზმები), მაგრამ გათვალისწინებული არ არის 2019 წლის წლის შემდგომი საკონმდებლო ცვლილებები. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, თუმცა სკოლის ბიბლიოთეკა სათანადო, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული არ არის. (გარდა სოფლის ბიბლიოთეკის მიერ გადმოცემული წიგნადი ფონდისა). ყველა კლასს ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული დამრიგებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია გასაჩივრების მექანიზმი. შინაგანაწესში მითითებულია, რომ მასწავლებელთა შემთხვევაში გამოყენებული იქნება ამ შინაგანაწესის ნორმები და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა სკოლას არ აქვს დისციპლინური წარმოების პრაქტიკა (შემთხვევის უქონლობის გამო).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის მოსწავლეების მშობელს/წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფიქსირებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. ამას გარდა სკოლას აქვს თანამშრომლებისა და მშობლების თანხმობები პერსონალურ მონაცემთა გამოყენების თაობაზე, თუმცა, სკოლის შინაგანაწესი აცდენილია საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნებს.

(სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 01.10.2024 – 01.11.2024 წ.) რის მიხედვითაც დასტურდება, რომ სკოლა შეიმუშავებს, შეთანხმებს და დამტკიცებს ახალ შინაგანაწესს, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნასთან

ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კათედრების ანგარიშები;
- სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმები;
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები (სკოლასა და მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის), რომელშიც შეტანილია მშობლის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების თაობაზე

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები სკოლასა და მშობელს შორის ორმხრივი კომუნიკაციის მიმართულებით, სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც განათავსებულია ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, მათ შორის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას. საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესების და წესების შემუშავების, დანერგვისა და მუდმივი გაუმჯობესების პროცესში ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული პირი. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა, განთავსებულია საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. სკოლამ წარმოადგინა ოქმები და კითხვარები, რომლითაც დასტურდება რომ მშობლებმა და სასკოლო საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღეს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შემუშავებაში



ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდა სკოლის ვებ გვერდი, რომელიც სკოლის დირექტორის განცხადებით მშობელთა ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების საშუალებად იქცა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის მიმართულებით. სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან. მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. კანონმდებლობის თანახმად, სკოლაში მრჩეველთა საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს სემესტრში მინიმუმ ორჯერ. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში მრჩეველთა საბჭო მხოლოდ სამჯერ შეიკრიბა, თუმცა ეს საკითხი აცნობეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მანდატურის სამსახურს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმა
- ფეისბუქ გვერდი
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება მანდატურის მიერ, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის ტერიტორიის დაცვას, ასევე, უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლის ტერიტორია ნაწილობრივ, მხოლოდ წინა ნაწილია შემოღობილი. დანარჩენი მხარეები შემოღობილია, კუსტარულად, მომიჯნავე მეზობლების ღობეებით. სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სისტემა, აქვს შესათანხმებელი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტს, ის მიიღეს ა/წლის 28 მაისს. დასკვნის მიხედვით შენობის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებლად შეფასებული. ამას გარდა, სკოლის ეზოში არსებული დამხმარე ნაგებობა, რომელიც უფუნქციოა, შეფასდა ადამიანებისათვის სახიფათოდ და საჭიროა მისი დემონტაჟი. სკოლას აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად ჯერ არ

მიუძღვრება არც მუნიციპალიტეტის მერიისა და არც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის.

(სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადები - ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება - 10.07.2024-10.07.2025 წწ.

ბ) სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების გეგმის შეთანხმება - 02.09.2024-02.09.2025 წწ.

გ) ავარიული დამხმარე ნაგებობის დემონტაჟი - 08.07.2024-08.07.2026 წწ.

დ) ეზოს შემოღობვა- 09.03.2024-09.03.2026 წწ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2.სკოლას აქვს ექიმის კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილობით, ჰყავს ექიმი, რომელსაც თავისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა, მაგრამ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ ვერ უზრუნველყო მედიკამენტების კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენა, რის გამოც საჭიროების შემთხვევაში ეკონტაქტებოდნენ მშობელს და რეკავდნენ 112-ში.

(სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადები - 01.08.2024 – 02.09.2024 წწ.), რის მიხედვითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი სასწავლო წლიდან ექიმის კაბინეტის მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში შემუშავებულია მასწავლებლების მორიგეობის გრაფიკი. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი, აწარმოებენ აღრიცხვას ჟურნალში. კლასის ხელმძღვანელები ვალდებული არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლას ჰყავს მანდატური. სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის ადმინისტრაცია და საგნის მასწავლებლები ცდილობენ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე დაცულად იგრძნობს თავს და ფსიქო-ემოციური განვითარების საშუალება მიეცემა. ასევე პოზიტიურია მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ურთიერთობები. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს,

მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დირექცია, იგი ახორციელებს კონტროლს დამლაგებლების საქმიანობაზე. ვიზიტის დროს ეზო და შენობა იდეალურად იყო მოწესრიგებული.სკოლის ბიუჯეტით და წლიური შესრულებებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლა ხარჯავს ფინანსებს და აქვთ ჰიგიენური საშუალებების მარაგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.პერსონალურ მონაცემებთან მუშაობს საქმისმწარმოებელი და სკოლის დირექტორი, ასევე, კლასის დამრიგებლები. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი (ბრძანებით არის განსაზღვრული). სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელშიც გაწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (საქმისმწარმოებელი).სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8.სკოლაში ფუნქციონირების პერიოდული შეფასების პრაქტიკა, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, თუმცა, დირექცია-ადმინისტრაციის მიერ, ზეპირი წესით ხდება გამოწვევების იდენტიფიცირება და ზოგადპრევენციული სახის ღონისძიებათა გატარება აღნიშნულ საკითხზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- სკოლის შინაგანაწესი.
- საქმისწარმოების წესი.

- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი დირექტორის ანგარიში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას პირველადი სარგებლობის წესით გადაცემული აქვს 7079.00 კვმ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, რომლის საერთო ფართი არის 1322 კვ.მ. დამხმარე ნაგებობების ჩათვლით, სასწავლო კორპუსის ფართია 1169,41 კვ.მ. სკოლის შენობა ორსართულიანია და საექსპლუატაციო მედეგობის დაქვეითების მიუხედავად, ექსპლუატაცია შესაძლებელია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში, სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. აქვს დახურული სპორტული დარბაზი, რომელსაც არ აქვს საშხაპე და გასახდელები. ამ მომენტისათვის არ ფუნქციონირებს ბუფეტი. სკოლაში არის დირექციისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე. არის მოწესრიგებული სველი წერტილები, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას არ აქვს პანდუსი ან ლიფტი, წესრიგშია ადაპტირებული სველი წერტილი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი. სკოლაში სწავლობდა 2 სსსმ და ერთი შშმ მოსწავლე. სასწავლო წლის ბოლოს შეფასდა 2 მოსწავლე, პირველ კლასში ჩაირიცხა 2 სსსმ მოსწავლე. სკოლა აღჭურვილია საჭირო რესურსებით, მათ შორის სასკოლო მერხებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. სკოლას აქვს წარმოდგენილი ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებული არ არის. ეტლით მოსარგებლე შშმ მოსწავლე დიაგნოზიდან გამომდინარე, შინ სწავლების რეჟიმზეა, დანარჩენ მოსწავლეებს ლიფტის/პანდუსის არ ქონა ხელს არ უშლის სერვისების მიღებაში. რესურსოთახი მოთხოვნების შესაბამისადაა აღჭურვილი, აქვს ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის საშუალება. სპეციალური მასწავლებელი ახერხებს, რომ მოსწავლეებთან კომუნიკაციის არეალი გააფართოვოს და მხოლოდ რესურსოთახში კომუნიკაციით არ შემოიფარგლებოდეს მისი საქმიანობა. თითოეულ მოსწავლეს აქვს ნამუშევრების პორტფოლიო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლის პროგრესზე დაკვირვება. სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მას აქვს ადაპტირებული კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს წარმოდგენილი ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლის ძველი წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მინიჭებული აქვს ნომერი, პირველ და მე-17 გვერდებზე დასმულია ბეჭედი, ყდაზე დატანილია მკითხველის ბარათი, მოძველებელი ბიბლიოთეკა შეფასებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სკოლის მიერ ბოლო ეტაპზე შეძენილი ლიტერატურა დამუშავებული არ არის, წიგნებს

მინიჭებული არ აქვს კლასიფიკაცია. სკოლას აქვს ე.წ. „კარცერ-ლუქსის“ სივრცე, რომელიც მოეწყო წიგნის კლუბის ფუნქციონირებისათვის. თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს წიგნის კლუბს არ უმუშავია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში არის დირექციისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე. არის მოწესრიგებული სველი წერტილები, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. წესრიგშია ადაპტირებული სველი წერტილი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი.სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებული არ არის.სკოლას არ აქვს პანდუსი ან ლიფტი, ეტლით მოსარგებლე შშმ მოსწავლე დიაგნოზიდან გამომდინარე, შინ სწავლების რეჟიმზეა, დანარჩენ მოსწავლეებს ლიფტის/პანდუსის არ ქონა ხელს არ უშლის სერვისების მიღებაში. რესურსოთახი მოთხოვნების შესაბამისადაა აღჭურვილი, აქვს ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის საშუალება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების გათვალისწინებით მოაწესრიგოს სკოლის ინფრასტრუქტურა, სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, უზრუნველყოს სკოლაში არსებული ყველა სივრცის ადაპტირება ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის - მოაწყოს ლიფტი/შიდა პანდუსი. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია შესრულების ვადა- 5.02.2024-5.02.2026 წ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და საკლასო ოთახები ხელმისაწვდომია როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სამოქალაქო განათლების კლუბს აქვს განხორციელებული ღონისძიებების ერთეული შემთხვევები, რომლებიც ხელს უწყობენ პოზიტიური, ემოციური და სოციალური გარემოს შექმნას, შიდა სასკოლო კულტურის გაძლიერებას. სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის მხატვრული ლიტერატურა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კლუბური მუშაობის ამსახველი მასალა ფეისბუქგვერდზე

- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 22 ლეპტოპით. სკოლას აქვს საბეჭდი და ასლის გადამღები მოწყობილობები. სკოლის ადმინისტრაციისთვის საზიარო სამუშაო სივრცე მოწყობილია კანცელარიაში, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, რომლითაც ინდივიდუალურად არიან უზრუნველყოფილნი სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები - დირექტორი, ბუღალტერი და საქმეთა მმართველი. კლუბებს, რომლებიც სკოლაში მუშაობენ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სკოლა უზრუნველყოფს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს შემუშავებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი და აქვთ ციფრული განვითარების გეგმა. ეს ორი დოკუმენტი არეგულირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება.
- სკოლის ციფრული განვითარების კვლევა
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კომპიუტერით სარგებლობისთვის საჭიარო სივრცეების მოწყობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოებისათვის გამოყენებულია დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემა. სკოლას აქვს მატერიალურად შესული კორესპოდენციის/განაცხადის ელექტრონულად რეგისტრაციის პრაქტიკა. ასეთი ფორმით შესული დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურები გაწერილია საქმისწარმოების წესში. დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-

ადმინისტრაციული და სამართლებრივი აქტები აიტვირთება eflow-ში, ასევე, ხდება მისთვის ნომრის მინიჭება და ტარდება ბრძანებების ჟურნალში. ელ.ფოსტებზე შემოსული დოკუმენტაცია(წერილები) გადამისამართდება შესაბამის პირთან. პასუხის მომზადებაც ასევე ელექტრონულად ხდება. დირექტორის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები აიტვირთება ელექტრონულად, ასევე, ნუმერაციის და თარიღის მიხედვით ტარდება მატერიალურად(ჟურნალში). შესყიდვის ხელშეკრულებები ტარდება ელექტრონულად(signature). აღსანიშნავია, რომ eflow-ში წაკითხულის ველშია და შესაბამისი მსვლელობა (ე.წ. წერილის „ჩამოწერა“) არ მისცემია 3713 დოკუმენტს 2013 წლის სექტემბრიდან ვიზიტის მომენტამდე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას-eflow. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - kvakhvrelidze@mes.gov.ge სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის პროფილში (EMIS) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასები, მასწავლებლების, პერსონალი თაობაზე, ასევე, არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ, ატვირთულია დამტკიცებული და შეთანხმებული სამტატო განრიგი, სკოლის ბარათის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. ახლადმიღებული თანამშრომლების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები ატვირთული არ იყო და ეს ხარვეზი ვიზიტის მომენტში გამოსწორდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან (მუნიციპალიტეტის მერიასთან). საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eflow-სა და mes.gov.ge-ზე ნაწარმოები დოკუმენტაცია/კორესპოდენციები
- Eschool-ის ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- 10 დეკემბრის ანგარიშები
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი, განსაზღვრულია ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი და ინფორმაცია გადაგზავნილია სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემასთან. სკოლა ტვირთავს საჯარო დოკუმენტაციას და სკოლამ ვებგვერდზე განათავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და სხვა სავალდებულო დოკუმენტები. სკოლა იყენებს facebook-ის პროფილს (აქვთ ე.წ. ჩატიც), პროფილის დათვალიერება ნაწილობრივ ქმნის წარმოდგენას სკოლის საქმიანობის შესახებ, სადაც ძირითადი აქცენტი არაფორმალური განათლების აქტივობებზეა გაკეთებული, სასკოლო ნორმატიული დოკუმენტებისათვის, ცხადია, სოციალური ქსელი არარელევანტურია საშუალებაა. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ამ ეტაპზე სკოლას აქვს განთავსებული ისეთი სახის მასალები, რომელიც დაკავშირებული არის სკოლის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან (ან მათ შესახებ იძლევა რაიმე სახის ინფორმაციას). ვიზიტის დროს სკოლამ დააფიქსირა მზაობა სიახლეებისა და საჭირო დოკუმენტების ვებ.გვერდზე განთავსებასთან და მის სისტემატურ განახლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. როგორც ავღნიშნეთ, სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. მასზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დავადგინეთ, რომ სკოლა აქტიურ პირდაპირ კომუნიკაციაშია საზოგადოებასა და გარშემო მყოფ თემთან. ითვალისწინებენ საზოგადოების შეხედულებებს და მოსაზრებებს სასწავლო პროცესის/სასკოლო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მოქმედი ვებ-გვერდი მიმდინარე სასწავლო წლიდან არსებობს. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე (ქართულად) და ინფორმაციის განთავსებაც ქართულად ხდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ამ ეტაპზე სკოლას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს 2023/24 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის facebook გვერდი ქვახვრელის სკოლა
- წერილი მართვის საინფორმაციო სისტემას ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- საინფორმაციო დაფა
- მშობლებისა და მასწავლებლების ხელმოწერები სკოლის მისიისა და ხედვის გაცნობასთან დაკავშირებით

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფინანსდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის მიხედვით. ამას გარდა, სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სტატუსის დანამატი, უფლებამოსილი პირის სარგო, 3 სსსმ მოსწავლის თანხა, (სექტემბრიდან სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა იქნება 7) ამ ეტაპზე ის ვერ იღებს გარკვეულ შემოსავალს ეკონომიკური საქმიანობიდან. ამ რესურსით სკოლა იხდის პერსონალის ხელფასს, კომუნალურ გადასახადებს. აღსანიშნავია, რომ სკოლას შეუძლია სასწავლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური რესურსების შეძენა, რითაც შექმნიდა პირობებს სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის, რაც მაგ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით არ ჩანს. ბოლოს სკოლამ რეაქტივები 6 წლის წინ შეიძინა და მათი ნაწილი პრაქტიკულად გამოუყენებელია. არ აქვთ პლაკატები, მულაჟები, ლაბორატორიული ჭურჭლის რაოდენობა მინიმალური და მოუვლელია. სკოლამ წარმოადგინა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისადმი მიწერილი წერილი ვირტუალური ლაბორატორიის შეძენის თაობაზე, რაზეც უარის პასუხი მიიღეს. ამ ეტაპზე სკოლა ფინანსურად მდგრადია. მან პირველადი ავტორიზაციისათვის და შენობის მდგრადობის დასკვნისათვის საჭირო თანხა საკუთარი რესურსებით გადაიხადა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შედგენილია ამავე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ინდ. ადმ. სამართლებრივი აქტით. შესყიდვების გეგმაში ცვლილება ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი (ბუღალტერი). ყოველი კალენდარული წლის დეკემბერში სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტის თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი
- 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა(ბრძანება და დანართი)
- დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შინაგანაწესი განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი პირის მიერ. სკოლის ყველა თანამშრომელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოებისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვას. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული პრინციპებით, თვითმმართველობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების თვალთვალის დასახული პრობლემების გათვალისწინება და მათი მაქსიმალური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა კანონმდებლობის დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის არასრული შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახლგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს სოციალური ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები. ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სკოლის შინაგანაწესი
- საინფორმაციო დაფა
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის, რომლის ერთ-ერთი პუნქტია თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროებაზე
- სადამრიგებლო პროგრამა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებებს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სკოლაში ირიცხება ყველა მოსწავლე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კლასებში მოსწავლეთა რაოდენობების გათვალისწინებით. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი და სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. კერძოდ, თუ დადგინდა, რომ მოსწავლეს უჭირს საგაკვეთილო პროცესში ჩართვა და ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს, მშობლის წერილობითი თანხმობით სკოლა მიმართავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტს, რის შედეგადაც იქმნება მოსწავლისთვის პირველადი სამოქმედო მართვის გეგმა წერილობითი რეკომენდაციებით, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება მოსწავლესთან სკოლის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი და მასზე რეაგირების მექანიზმი. სკოლა იცავს

მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო პროცედურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო რეგულაციას, რომელიც მის მიერ შემუშავებულ დამტკიცებულ წესშია გაწერილი. Eschool-ის ბაზაში სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევა, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის ფორმალური მხარე. პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ასევე მოწესრიგებულია იგივე საკითხები. პირადი საქმეების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სკოლაში პირად საქმეში არ არის განთავსებული საბაზო და საშუალო საფეხურზე გადასულ მოსწავლეთა ფოტოები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლა გეგმავს მოსწავლეებისთვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაცია გაზიარებულია დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებებზე, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სტატუსის შეჩერების ბრძანება
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება
- პედსაბჭოს ოქმი მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლისა და სკოლის თანამშრომლების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, თუმცა აქტიურად ხდება ბაზიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლის შესახებ. პირველკლასელთა მიღებისათვის ეწყობა ღია კარის დღე. პირველი კლასის დამრიგებელს სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი აქვს ახალი მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის

მექანიზმი. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტი.

2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ნებისმიერ მოსწავლეს, ხელს უწყობს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესს. მათ მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტის შესაბამისად. დამრიგებლის მიერ დადგინდება მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები და განხორციელდება ამ საჭიროებების შესაბამისი აქტივობები. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეებისათვის. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის არ აქვთ პანდუსი/ ლიფტი, აქვთ მათ საჭიროებებზე მორგებული სანიტარული კვანძი. ამ ეტაპზე სკოლას ყავს 6 სსსმ მოსწავლე, (ახალი სასწავლო წლიდან ეყოლება 7) სკოლას ჰყავს მხარდაჭერის სპეციალისტი სპეციალური მასწავლებლის სახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლიდან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელს შეუძლია მიიღოს როგორც ელექტრონული ჟურნალის, ასევე დამრიგებელთან და მასწავლებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით. ნიშნის ამაღლების მიზნით სკოლისადმი მშობლის მიერ სემესტრული გამოცდის დანიშვნაზე მიმართვა არ ყოფილა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

